**ჯემალ გახოკიძე**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი*

**სოფიო მიდელაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი*

**ავთანდილ დემეტრაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი*

# მშვიდობიანი სახელმწიფოს მშენებლობა აფხაზეთთან და ოსეთთან ერთად

2013 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორთა ერთმა ჯგუფმა, ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტეთ დაგვეწყო ფუნდამენტური კვლევა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორიც არის ტერიტორიული და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რამეთუ ამ მხრივ ჩვენი სახელმწიფოც დაზარალდა და დადგა მწვავე გამოწვევების წინაშე. მოკლედ რომ შევაფასოთ, საქართველომ დაკარგა ტერიტორიები და შეირყა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი – სუვერენიტეტი. თუ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრინციპებს გავყვებით, ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს გარე და შიდა მრავალმიზეზთა გამო ზედაპირულ და ტერიტორიულწართმეულ სახელმწიფოსთან. სწორედ ეს გახდა მთავარი მოტივატორი კვლევების დასაწყებად.

დიდი ფიქრის შემდეგ მაინც მივედით იმ დასკვნამდე, რომ

ჩვენი გუნდის ლაიტმოტივი უნდა გამხდარიყო ერთი ფიქრით, ერთი აზრით, ერთიანი ძალისხმევით აფხაზებსა და ოსებთან შერიგების გზების ძიება.

პირველი რითაც დავიწყეთ ეს იყო ჩვენი გზავნილი აფხაზ და ოს ხალხს. შევეცადეთ გულწრფელები, ობიექტურები და მიუკერძოებლები დავრჩენილიყავით ჩვენი, აფხაზი და ოსი ხალხის წარულის, აწმყოსა და მომავლის შეფასებაში.

გზავნილი აფხაზ და ოს ხალხს

ომი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ხალხების ერთად, ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების, განვითარებისა და კეთილდღობისაკენ სწრაფვას.

მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვიცხოვრებთ იმ წარსულით, რომელმაც ჩვენი მომავალი დაანგრია, მით უმეტეს ვერ დავუტოვებთ ასეთ ქვეყანას მომავალ თაობებს, სწორედ ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ჩვენი ხალხების შერიგებაშია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება თანდათანობით სხვა სასიკეთო ნაბიჯები მოლაპარაკებისა და მორიგებისათვის.

გვინდა დავუდასტუროთ ჩვენი გულწრფელი და ღრმა პატივისცემა აფხაზ და ოს ხალხს, მათ ეროვნულ ღირსებას, თვითმყოფადობას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, კულტურული მემკვიდრეობის საუკუნოვან ტრადიციებს და ათასობით ერთობლივი ოჯახის საფუძველზე აღმოცენებულ ნათესაურ კავშირებს, აფხაზებისა და ოსების განსაკუთრებულ და დამსახურებულ ისტორიულ როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საქმეში. გენეტიკურად ჩვენ, აფხაზები და ოსები მივეკუთნებით ერთიანი, ყველაზე დაახლოებული ტიპის ტრადიციების და კულტურის ხალხებს.

ეს ყველაფერი კი იმედს გვაძლევს, შევრიგდეთ და კვლავაც ვიცხოვროთ საქართველოს გაერთიანებულ სახელმწიფოში, სა-

დაც ღირსეულად იქნებიან წარმოდგენილი აფხაზები და ოსები, როგორც განსაკუთრებული სტატუსისა და ფართო უფლებების მქონე გაერთიანებული სახელმწიფოს წევრი სუბიექტები.

სწორედ ამ მიზნისათვის დღეს ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მომზადდეს კომპრომისებსა და რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული სამშვიდობო ინიციატივების ახალი პაკეტი აფხაზებთან და ოსებთან შერიგების მიზნით, რისთვისაც მზად ვართ უარი ვთქვათ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის ძველ სტანდარტულ მიდგომებზე, გავითვალისწინოთ მსოფლიოს გამოცდილების საუკეთესო და შედეგიანი პრეცედენტები, როგორიცაა ჰონკონგი-ჩინეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, იტალია-სამხრეთ ტიროლი და სხვა.

მხოლოდ ასეთი გზით სიარული მიგვაჩნია მკვლევართა ჩვენს ჯგუფს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, აფხაზ და ოს ხალხთან ერთად დღეს არსებული ჯადოსნური წრიდან გამოსვლისა და გაყინული კონფლიქტების დასასრულის დასაწყისად.

წინასწარ ბევრს ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენად გამოადგება, რამდენად აამოძრავებს, რამდენად აამოქმედებს, რამდენად წინ წაწევს და ხელს შეუწყობს გაყინული კონფლიქტების გალღობას მსოფლიოში უკვე არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის პრეცედენტების ჩვენეული სიღრმისეული კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები.

ამასთანავე, ჩვენს ხედვებს, თავმოყრილს წინადადებებში, და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ვუდგებით პრინციპით – იქნება თუ არა შესაძლებელი მათი რეალიზაცია ახლა და უახლოეს მომავალში.

ერთში ნამდვილად ვართ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ კონსესუსის, კომპრომისის, ინტერესთა ურთიერთგათვალისწინებისა და პოლიტიკური რეალობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისა და მართვის ახალი მოდელი, რომელიც ჯეროვნად გაითვალისწინებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოს-

ეთის ინტერესებს საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ერთად, როგორც ეს უკვე შეძლეს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგთან მიმართებით და მშვიდობიანი გზით, შესაძლებობების მაქსიმუმის გამოყენებით ცდილობს ტაივანთან დაკავშირებით.

დღეისთვის მკითხველს უკვე მივაწოდეთ კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის პოზიტიურ პრეცედენტებთან დაკავშირებული კვლევები და, ასევე, უშედეგო მცდელობები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით. ეს ნაშრომებია: „ჰონკონგი, ჩინეთი – 1997“, „ძიებანი განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“ და „ბოსნია და ჰერცეგოვინა – 1995“.

აღნიშნული ნაშრომებიდან საჭიროდ ჩავთვალეთ შემოგთავაზოთ ძირითადი მომენტები ბოსნია და ჰერცეგოვინას პოსტკონფლიქტური სახელმწიფო მოწყობის, მართვისა და მისი შესაძლებელი გამოყენების შესახებ საქართველოში. რატომ გავაკეთეთ ასეთი არჩევანი, მკითხველს ამის ამოხსნა არ უნდა გაუჭირდეს.

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობამ გააგრძელა რა თავისი საქმიანობა და მიიღო გადაწყვეტილება დაწყებულიყო მხარეთა მორიგების პროცესი, ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით შეუდგნენ მუშაობას ზოგად ჩარჩო შეთანხმებაზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამკვიდრების შესახებ, რომელიც საბოლოოდ შეთანხმებული და ხელმოწერილი იქნა მხარეების მიერ 1995 წელს დეიტონში (აშშ). აღნიშნულ შეთანხმებას ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო ადასტურებენ: ევროკავშირის სპეციალური მედიატორი, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება დღეს დეიტონის შეთანხმებადაა ცნობილი, რომლის სტრუქტურა შეიცავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალ წარმონაქმნებს შორის დადებულ როგორც ძირითად ჩარჩო შეთანხმებას, ასევე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, მათ შორის:

- **შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ;**
- **შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ;**
- **შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;**
- **შეთანხმება არჩევნების შესახებ;**
- **ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;**
- **შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ;**
- **შეთანხმება სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესახებ და სხვა.**

რატომ არის ასეთი შინაარსისა და ფუნქციის მატარებელი ეს აქტები? საქმე ისაა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა ყოფილ იუგოსლავიაში შემავალი ყველაზე რთული შემადგენლობის სახელმწიფო იყო, როგორც მასში გაერთიანებული სუბიექტების, ისე ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით. აქ ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები (ბოსნიელი სერბები), მუსლიმანები (ბოსნიელები) და კათოლიკეები (ბოსნიელი ხორვატები). ამას ემატებოდა ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები.

რაც შეეხება ჩვენს არჩევანს პროექტის სახით პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით:

პირველი – ამ მიმართულებით დღემდე საქართველოში არც ნაშრომი შექმნილა და არც რაიმე კვლევა ჩატარებულა;

მეორე – დღემდე ქართულად არ თარგმნილა და არ გამოცემულა არც ზოგადი ჩარჩო შეთანხმება ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ და არც სახელმწიფო მოწყობასთან

დაკავშირებული პოსტკონფლიქტური საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, არც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;

მესამე – საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირებისათვის ხელსაყრელი პოზიტიური პოლიტიკური გარემოებები არსებობდა და ამის ფონზე დასანანია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოსტკონფლიქტური სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობისა და მართვის მოდელი საქართველოს არც სახელმწიფო სტრუქტურებსა და არც პოლიტიკურ წრეებში განსჯის საგანიც კი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა საკითხისადმი ჩვენი ინტერესი.

სადავო არც ის უნდა იყოს, რომ კონფლიქტის დარეგულირებისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო მოწყობისა და მართვისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ **1995 წელს შეთავაზებული მოდელი,** სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და თეორიისათვის უნიკალურია და მსგავსი რამ ცნობილი არ არის. ამაში დარწმუნდებით, როცა გაეცნობით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას. სწორედ ამ სრულიად ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი მოდელის კვლევა, ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ფართო განსჯისათვის განგვაწყობს. პარალელის გავლება, მსგავსებებისა და განსხვავებების ძიება და მიგნება საშუალებას მოგვცემს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ყოველივე ეს მივუსადაგოთ ქართულ სინამდვილეს და ჯეროვნად გამოვიყენოთ.

აუცილებლად მიგვაჩნია, ასევე, მოკლედ ვთქვათ ჩვენი კვლევის შედეგების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გატარებული პოლიტიკის თაობაზე ჰონკონგთან მიმართებით. 1997 წლის პირველ ივლისს ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენა და უკვე არსებული რეალობაა.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფაქტობრივად ჰონკონგის ჩინეთში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდა, ასეთი პრეცედენტები კი მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება. თუმცა, შეუთავსებლობის და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად, დაპირისპირებული ორი სისტემის არსებობა: ერთი მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალიზმი და, მეორე მხრივ — ჰონკონგის კაპიტალიზმი. ეს წინააღმდეგობა გადაილახა, ძირითადად, ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით. ჩინეთის ლიდერის დენ სიაოპინის მიერ შემუშავებულმა იდეამ — „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა" — გარღვევა მოახდინა და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰონკონგზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჰონკონგ-ჩინეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთისა და მისი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის როლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰონკონგელთა ძალისხმევა გარანტირებული მომავლისთვის.

უპირველესად თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ჰონკონგს ეწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. საქმე მარტო დასახელებაში არ არის – სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონკონგის კონსტიტუციით (ძირითადი კანონი) სწორედ სპეციალური უფლებამოსილება მიენიჭა. ჩინეთის სხვა ადმინისტრაციული რეგიონებისაგან განსხვავებით ჰონკონგში ძალიან მაღალია დამოუკიდებლობისა და მართვის ავტონომიურობის ხარისხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, კომპეტენციათა და უფლებათა გამიჯვნაში ცენტრსა და რეგიონს შორის. ჰონკონგმა ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვითი ფუნქციები. სამაგიეროდ, ჰონკონგის სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკის სასამართლოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოუკიდებლობის ხარისხი ეკონომიკურ საქმიანობაში. ჰონკონგს შეუნარჩუნდა თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსი. ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — ჯერ კიდევ, 1983 წელს ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ 1997 წლის პირველი ივლისიდან ჰონკონგი როგორც დამოუკიდებლად, ისე ჩინეთის მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენებდა სახელს — „ჰონკონგი, ჩინეთი". ეს ასეც მოხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარისკო, იმპულსური გადაწყვეტილებების მაგივრად, მუშაობისას მხარეები იღებდნენ რაციონალურ, გაწონასწორებულ, ფრთხილ და, რაც მთავარია, საიმედო გადაწყვეტილებებს. მათი მუშაობისას არ დაფიქსირებულა უტაქტო და უხეში ქმედებები. ეს მარტო ერთი მხარისთვის სარგებლის ძიების კუთხით გამართული კი არა, სირთულეების ერთობლივი ძალებით დაძლევასა და საერთო მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული მოლაპარაკებები იყო.

ამრიგად, 1997 წლის პირველ ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგზე თავისი სუვერენიტეტი აღადგინა — ჰონკონგი დაუბრუნდა ჩინეთს. ამ უკანასკნელმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეს ეტაპი წარმატებით დაამთავრა, რითაც საერთაშორისო სამართალში კონფლიქტის დარეგულირების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანად გადაწყვეტის პრეცედენტი შეიქმნა.

მე-20 საუკუნის კონფლიქტების ანატომიისა და ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინებით, ცხადზე ცხადია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის დარეგულირება ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მის გადაწყვეტას საერთაშორისო თანამეგობრობა მთელი სერიოზულობით მოეკიდა. კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული სახელმწიფოები, თანამდებობის პირები, დიპლომატები, ექსპერტები, პოლი-

ტიკოსები. ამ დროს გამოვლინდა ყველა მონაწილის ერთიანი ნება საბოლოო მიზნის მისაღწევად, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მთავარი მაინც ის იყო, რომ მათ ზურგს უმაგრებდნენ ისეთი წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები, როგორებიც იყვნენ აშშ-დან ბილ კლინტონი, საფრანგეთიდან – ჟაკ შირაკი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან – ჰელმუტ კოლი, დიდი ბრიტანეთიდან – ჯონ მეიჯორი, იუგოსლავიიდან – სლობოდან მილოშევიჩი და სხვები. საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების დიპლომატიურ კორპუსს სათავეში ედგა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარების მთავარი არქიტექტორი, აშშ-ის ცნობილი დიპლომატი მადლენ ოლბრაიტი.

ასე რომ, თუ ჰონკონგ-ჩინეთის კონფლიქტის წარმატებით გადაწყვეტას თავისი „გმირები“ ჰყავდა დენ სიაოპინისა და მარგარეტ ტეტჩერის სახით, რომლებიც უნიკალური მიგნების ავტორებიც კი გახდნენ ერთ სახელმწიფოში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) ორი დაპირისპირებული სისტემის (ჩინეთის სოციალიზმის ჩინური სპეციფიკით და ჰონკონგის მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სისტემის) თანაარსებობის შესაძლებლობის გამო, ასევე, თავისი გმირები ჰყავდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის დასრულებასაც.

დიდი განსჯა არ სჭირდება იმას, რომ ჩვენ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესს მივაღწიეთ 90-იანი წლების ბოლოს. თუმცა, სამწუხაროდ, სტატუს-კვოც ვერ შევინარჩუნეთ, რათა მერე საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობით წინსვლა გაგვეგრძელებინა, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ კონფლიქტების სრულმასშტაბიანი გადაწყვეტისათვის მხარეები პირისპირ მარტონი დავრჩით. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ სამწუხაროდ, არ გამოგვიჩნდნენ თავგადადებული სახელმწიფოები და მათი „გმირი“ მეთაურები. ასე გაგრძელდა გაყინული კონფლიქტის რეჟიმით ჩვენი და მათი ურთიერთობა 2008 წლის ომამდე. მერე მოვლენები რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ეროვნული

ინტერესების საზიანოდ, კერძოდ, ეს გახლავთ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფით რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და ქართველთა გენოციდი. ეს ყველაფერი საერთაშორისო თანამეგობრობას ხელისგულზე უდევს და მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინო გახდა. თვალსაჩინოა ისიც, რომ დღეს კონფლიქტის მოგვარების ეს უაღრესად მნიშნლოვანი საკითხი ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, გადადებულია განუსაზღვრელი დროით.

ჩვენი ჯგუფი კიდევ ორ პროექტზე აგრძელებს მუშაობას და მასაც განსჯისათვის მიაწვდის ქართველ მკითხველს და არა მარტო მათ, ესენია: **„აფხაზეთი განსაკუთრებული სტატუსით საქართველოს სახელმწიფოში“ და „მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის“.**

ჩვენ მიერ უკვე შესწავლილი და გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის წინამდებარე კვლევა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის და მართვის განსაკუთრებულობის შესახებ, ასევე, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსი ფართო უფლებებით, გვაძლევს შუალედური დასკვნის გამოტანის საშუალებას: შესაბამისი გარემოებების დადგომის პირობებში შესაძლებელი იქნება აფხაზეთი წარმოდგენილ იქნას საქართველოს სახელმწიფოში რესპუბლიკის სტატუსით, ყოველგვარი წინ წამძღვარებული ავტონომიის გარეშე, განსაკუთრებული უფლებებით, ფაქტობრივად, დე ფაქტო და დე იურე მინისახელმწიფო, რომელიც დაფიქსირდება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღიარებულ საერთაშორისო სამართლით დადასტურებულ ვალდებულებებში, საქართველოსა და აფხაზეთის კოსტიტუციებსა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებულ კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში. უფლებამისილებათა გადანაწილების მაგალითების, ასევე, ზემოაღნიშნული პრეცედენტების შესწავლისა და ანალიზის შედე-

გად, მსჯელობის საგნად გამოგვაქვს ჩვენეული ხედვა ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ; კერძოდ, იგი განხილულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოში სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსით შესაბამისი ფართო უფლებამოსილებებით, რაც აღიარებული იქნება ისეთივე კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტებით, როგორც ეს წარმოვადგინეთ აფხაზეთთან მიმართებით.

დარწმუნებული ვართ, რომ როგორც აფხაზეთის, ისე ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის ჩვენეული ხედვა განხილვასა და მსჯელობას ნამდვილად იმსახურებს; და, თუ პროცესი დაიძრა, ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობისა და მართვის სრულიად ახალი მოდელის შექმნის დასაწყისს, რაც საბოლოოდ უნდა დასრულდეს საქართველოს სიღრმისეული ქმედითუნარიანი და შემდგარი სახელმწიფოს აშენებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ავტორები მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში მიუთითეს შემდეგი: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. დღეს პრაქტიკულად ასეთი კონსტიტუციური კანონები ამ საკითხების მოსაწესრიგებლად არ მოგვეპოვება.

უფრო მეტიც, იმავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. ასეთი მიდგომა ძირეულად მცდარია, ვინაიდან მე-3 პუნქტის მიხედვით, ჯერ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მერე სახელმწოფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის გადასინჯვა, ე. ი. აფხაზეთისა და

ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არარეალური და პრაგმატიზმისგან ძალიან შორს მდგარია. ჩვენს გაკვირვებას იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის „დუმილის უფლების გამოყენება" ამასთან დაკავშირებით.

შესავალში აღვნიშნეთ, რომ ხედვებს, წინადადებებს, დასკვნებს ჩვენ ვუდგებით პრინციპით – იქნება თუ არა შესაძლებელი მათი რეალიზაცია ახლა და უახლოეს მომავალში. პროექტის ავტორები და მკვლევართა ჯგუფი დარწმუნებულნი ვართ, რომ ამჟამინდელი უძრაობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. იგი აუცილებლად პოლიტიკურად გააქტივდება და ამისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრია და უახლოეს პერიოდში შესაძლებლად მიგვაჩნია სტაბილიზაციის, მშვიდობის, თანამშრომლობისა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების, დაახლოების, დიალოგის დაწყების და შერიგების მიზნით ევროკავშირმა საქართველოსა და მისგან განდგომილ რეგიონებთან ითანამშრომლოს სამომავლოდ ევროკავშირში ერთიან სახელმწიფოდ განევრიანების იდეით. ფაქტობრივად, ეს იქნება გაყინული კონფლიქტის ადგილიდან დაძვრის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, ერთი მხრივ, განდგომილი რეგიონების ევროპიზაციის იდეის დასაწყისის დასაწყისი და, მეორე მხრივ, რეალური შეთავაზება, ამასთან ერთად, ჩვენი მთავარი ეროვნული ამოცანის შემადგენელიც. აფხაზეთის ახალი ხელისუფლებისათვის ქართველებთან ურთიერთობა სულ უფრო მეტად საინტერესო ხდება. სწორედ ეს არის მიზეზი ახალი ხელისუფლების სურვილისა საქართველოსთან დიალოგის დასაწყებად, პრინციპში როგორც მეზობელ სახელმწიფოსთან და ეს ყველაფერი მხოლოდ მათი პოზიციიდან. ახალი პოლიტიკური ძალა (ანუ მესამე ძალა) უდავოდ ანგარიშგასაწევია, მათ შორის აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული პოლიტიკური ძალის მისწრაფებები არ ემთხვევა, რა თქმა უნდა, ხაჯიმბას

პოლიტიკური ძალების პოზიციებს. ე. წ. მესამე ძალის ლაიტ-მოტივი დასავლეთის ღირებულებებისკენ და დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის მშენებლობისაკენ არის მიმართული. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ისინი დასავლეთში განათლების მიღების, ამ სახელმწიფოების გაცნობის, საერთოდ დასავლეთის ცივილიზაციასთან ზიარების კუთხით, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში და ა. შ. რა თქმა უნდა, აინტერესებთ მათთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები და შესაძლოა ამ მიმართულებამ ერთ-ერთ პირველ ადგილზე გადაინაცვლოს. სწორედ აქ შეიძლება ჩვენი თანაჩართულობა ევროპასთან ერთად. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ევროპასთან გაფორმებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ის იმის შანსს იძლევა, რომ თუ ევროპელები წინააღმდეგი არ იქნებიან ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური წარმოების ერთობლივი პროდუქცია მოხვდება ევროპის ბაზრებზე. ეს კიდევ ერთი შანსი იქნება აფხაზებისა და ოსების ევროპული გზის არჩევისათვის. რაც შეხება ამ გზით ქართული, აფხაზური და ოსური პროდუქციის გატანას ევროპის ბაზარზე ეკონომიკური ეფექტი ექნება ყველასთვის მოგების გაზრდით.

რა თქმა უნდა, ჯერ არ გვაქვს სრული ოპტიმიზმის საფუძველი განდგომილი რეგიონებიდან, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება აუცილებელია, თუმცა ამ ვითარებაში თამაშგარე მდგომარეობაში არ უნდა გამოიყურებოდეს აშშ, ყოველ შემთხვევაში, პასიურ აქტორად, რაკიღა მას ძალუძს რეალური და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა რუსეთთან მიმართებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და განსაკუთრებით მართვის მოდელის ძიებისას უნდა გამოვიდეთ საბჭოთა კავშირის დროინდელი მოკავშირე რესპუბლიკების შიდა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყავლგასული კლიშეებიდან და მივიღოთ სწორედ ის-

ეთი გადაწყვეტილება, სადაც აფხაზებისა და ოსებისათვის ღირსეული ადგილი მოინახება, როგორც ტერიტორიული მოწყობის, ისე სახელმწიფო მართვაში მათი ქმედითუნარიანი მონაწილეობით, როგორც ეს სიღრმისეულად შემდგარი სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან კარგად გვესმის დიდი ილიას შეგონება: „არაფერია ამქვეყნად მუდმივი (მათ შორის გაყინული კონფლიქტებიც), გარდა თვითონ ცვლილებებისა და, რომ დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად უნდა განხორციელდეს". სწორედ ამ გზით უნდა ვიაროთ და შევთავაზოთ აფხაზებსა და ოსებს ჯერ შერიგება, შემდგომ მოლაპარაკება და შეთანხმება მათი ღირსეული ადგილის დამკვიდრებით, დავარწმუნოთ გაერთიანებულ სახელმწიფოში ერთად თანაცხოვრების აუცილებლობაში, რასაც დღეისათვის ალტერნატივა არ აქვს, არც ჩვენთვის და არც აფხაზებისა და ოსებისათვის. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მომავალში მხოლოდ ამ გზით მოგვიწევს სიარული.

**Jemal Gakhokidze**
*Professor, Georgian Technical University*
**Sophio Midelashvili**
*Professor, Georgian Technical University*
**Avtandil Demetrashvili**
*Professor, Georgian Technical University*

# Peaceful State Building together with Abkhazians and Ossetians

## Summary

In 2013, at Georgian Technical University, a group of professors decided to start fundamental research into one of the most actual problems such as territorial and ethnopolitical conflicts in various regions of the world. Especially for this purpose, three precedents were selected and studied that have resulted in positive results, despite the sharp confrontation between the conflicting state and its regions. These include the cases of Hong Kong, South Tyrol and Bosnia and Herzegovina. During the research, we were convinced that it is necessary to search for new ways of conflicts resolution, which will be based only on realpolitik. Therefore, both the Georgian government and the international community need a different strategy for ending the deadlock in the conflicts. The research also showed that the frozen uncertainty of the frozen conflicts cannot continue for long in Abkhazia and so-called South Ossetia. As for the plans of our group, the realization of which must bring specific results, are as follows: to present our vision of the special status of Abkhazia within the State of Georgia, with its political, constitutional and legal, economic and social-cultural characteristics.